განკარგულება:**გ-49. 49230273**
თარიღი:**27/01/2023**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 9

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-4823025166; 25/01/2023) წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ (დანართი თან ერთვის).
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2023 წლის 27 იანვრის №9 განკარგულების
დანართი №1

ა(ა)იპ „ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"

2023 წლის საშტატო ნუსხა **დანართი 1**

#	თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეული	განაკვეთის ღირებულება
	სულ შტატი	**15.0**	
1	მმართველი	1.00	1750
2	საფინანსო-ეკონომიკური და შესყიდვების მართვის კოოდინატორი	1.00	1000
3	საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის კოორდინატორი	1.0	700
4	ექიმი ეპიდემიოლოგი (იმუნიზაცია)	1.0	760
5	ექიმი ეპიდემიოლოგი (ეპიდზედამხედველობა ანტირაბიული სამსახური)	1.0	760
6	ექიმი პარაზიტოლოგი	1.0	700
7	პარაზიტოლოგი ლაბორანტი	1.0	560
8	იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკაზე (ცივ ჯაჭვზე) პასუხისმგებელი პირი	1.0	560
9	ექიმი პროფილაქტიკოსი/პრევენციონისტი	1.0	700
10	ექიმი ლაბორანტი	1.0	600
11	მედდა-ლაბორანტი	1.0	400
12	იურისტი	1.0	700
13	დამლაგებელი	1.0	350
14	მძღოლი	1.0	450
15	ენტომოლოგი	1.0	700